

შპს „მირაკლ“-ის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019
წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს „მირაკლ“

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ 3

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში.....	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში	6

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

1. შპს „მირაკლ“ და მისი საქმიანობა.....	7
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში	15
4. ძირითადი საშუალებები	15
5. მარაგები	16
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	16
7. ფული და ფულის ექვივალენტები	16
8. საწესდებო კაპიტალი	17
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
10. შემოსავალი	17
11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	17
12. სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი და ხარჯი.....	18
13. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები	18
14. ფინანსური რისკების მართვა	18
15. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	20
16. შემდგომი მოვლენები	20

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „მირაკლ“-ის („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს 2018 და 2019 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ჭმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 10 სექტემბერს.

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

ემზარ დევაძე -----

10 სექტემბერი, 2020 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „მირაკლ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	7	2 639 287	409,952
სავაჭრო მოთხოვნები	6	26523	453,593
საგადასახადო აქტივი			
მარაგები	5	7 110 342	1,357,059
- ნედლეული და მასალა		379 060	210,204
- დაუმთავრებელი წარმოება		6 710 873	1,138,558
- სხვა მარაგები		20 409	8,297
სულ მიმდინარე აქტივები		9 776 152	2,220,604
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 570 480	2,176,724
- მიწის ნაკვეთი		2 164 935	2,164,935
- მანქანა დანადგარები		50 818	9,429
- ავეჯი და სხვა ინვენტარი		18 564	1,075
- სხვა ძირითადი საშუალებები		336 163	1,286
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 570 480	2,176,724
სულ აქტივები		12 346 632	4,397,328
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და ანარიცხები	9	13 541 725	4,230,793
საგადასახადო ვალდებულებები		130 999	187,210
სულ ვალდებულებები		13 672 724	4,418,003
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	8		249,201
გაუნაწილებელი მოგება			
საანგარიშო წლის მოგება/ზარალი		(1 326 092)	(269 876)
სულ საკუთარი კაპიტალი		(1 326 092)	(20,675)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		12 346 632	4,397,328

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი

 ეზარ დევამიძე
 10 სექტემბერი 2020 წელი
 საქართველო, ბათუმი

შპს „მირაკლ“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები		6 356	6 356
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4 500)	-
პერსონალის ხარჯი		(287 111)	(107 709)
საკონსულტაციო ხარჯი		(11 100)	(13 978)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(4 175)	(1 503)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		-	-
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(2 122)	(7 532)
იჯარის ხარჯი		(28 451)	(18 050)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(8 997)	(2 217)
ცვეთა და ამორტიზაცია		-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(561 993)	(138 638)
საოპერაციო მოგება		(902 093)	(283 272)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		(147 700)	25 590
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(6 348)	(418)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(1 056 141)	(258 100)
მოგების გადასახადი		(74)	-
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(1 056 215)	(258 100)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 10 სექტემბერს



დირექტორი

ემზარ დევაძე

10 სექტემბერი 2020 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „მირაკლ“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებოკაპიტალი	(დგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	106 083	(11 776)	94 307
საწესდებოკაპიტალის ზრდა/შემცირება	143 118		
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		(258 100)	(258 100)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	249 201	(269 876)	(20 675)
საწესდებოკაპიტალის ზრდა/შემცირება	(249 201)		(249 201)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		(1 056 215)	(1 056 215)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1 326 092)	(1 326 092)

გამოსატყვევებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი



10 სექტემბერი 2020 წელი
საქართველო, ბათუმი

[Handwritten signature]

შპს „მირაკლ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული ავანსები	12 787 508	3 141 859
გაცემული მომწოდებლებზე	(8 251 120)	(2 427 087)
გაცემული ანგარიშვალდებულ პირზე	(155)	(1 932)
გადახდილი გადასახადები	(1 228 785)	(227 828)
გადახდილია ხელფასები	(776 000)	(230 877)
არა საოპერაციო შემოსავალი/ზარჯი	(3 966)	(2 364)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 527 482	251 771
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალს შვესება/შემცირება	(302 791)	143 177
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	4 644	9 183
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(298 147)	152 360
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში	2 229 335	404 131
ფულად სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	411 188	5 821
ფულად სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	2 639 287	409 952

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი

გმზარ დევაძე

10 სექტემბერი 2020 წელი

საქართველო, ბათუმი



[Handwritten signature]

შპს „მირაკლ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	7	2 639 287	409,952
სავაჭრო მოთხოვნები	6	26523	453,593
საგადასახადო აქტივი			
მარაგები	5	7 110 342	1,357,059
- ნედლეული და მასალა		379 060	210,204
- დაუმთავრებელი წარმოება		6 710 873	1,138,558
- სხვა მარაგები		20 409	8,297
სულ მიმდინარე აქტივები		9 776 152	2,220,604
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2 570 480	2,176,724
- მიწის ნაკვეთი		2 164 935	2,164,935
- მანქანა დანადგარები		50 818	9,429
- ავეჯი და სხვა ინვენტარი		18 564	1,075
- სხვა ძირითადი საშუალებები		336 163	1,286
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 570 480	2,176,724
სულ აქტივები		12 346 632	4,397,328
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები და ანარიცხები	9	13 541 725	4,230,793
საგადასახადო ვალდებულებები		130 999	187,210
სულ ვალდებულებები		13 672 724	4,418,003
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	8		249,201
გაუნაწილებელი მოგება			
საანგარიშო წლის მოგება/ზარალი		(1 326 092)	(269 876)
სულ საკუთარი კაპიტალი		(1 326 092)	(20,675)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		12 346 632	4,397,328

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი

ემზარ დევაძე -----

10 სექტემბერი 2020 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „მირაკლ“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები		6 356	6 356
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(4 500)	-
პერსონალის ხარჯი		(287 111)	(107 709)
საკონსულტაციო ხარჯი		(11 100)	(13 978)
საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)		(4 175)	(1 503)
ხარჯად აღიარებული ჯარიმები და საურავები		-	-
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		(2 122)	(7 532)
იჯარის ხარჯი		(28 451)	(18 050)
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		(8 997)	(2 217)
ცვეთა და ამორტიზაცია		-	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	11	(561 993)	(138 638)
საოპერაციო მოგება		(902 093)	(283 272)
წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და გადაფასებიდან		(147 700)	25 590
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		(6 348)	(418)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		(1 056 141)	(258 100)
მოგების გადასახადი		(74)	
მოგება/(ზარალი) განგრძობითი ოპერაციებიდან		(1 056 215)	(258 100)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი

ემზარ დევაძე -----

10 სექტემბერი 2020 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „მირაკლ“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	(დაგროვილი ზარალი)/ გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	106 083	(11 776)	94 307
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	143 118	(258 100)	(258 100)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	249 201	(269 876)	(20 675)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება მოგება/ზარალი წლის განმავლობაში	(249 201)	(1 056 215)	(249 201) (1 056 215)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(1 326 092)	(1 326 092)

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი

ემზარ დევაძე -----

10 სექტემბერი 2020 წელი

საქართველო, ბათუმი

შპს „მირაკლ“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული ავანსები	12 787 508	3 141 859
გაცემული მომწოდებლებზე	(8 251 120)	(2 427 087)
გაცემული ანგარიშვალდებულ პირზე	(155)	(1 932)
გადახდილი გადასახადები	(1 228 785)	(227 828)
გადახდილია ხელფასები	(776 000)	(230 877)
არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(3 966)	(2 364)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	2 527 482	251 771
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება/შემცირება	(302 791)	143 177
მოგება/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	4 644	9 183
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(298 147)	152 360
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში	2 229 335	404 131
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	411 188	5 821
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	2 639 287	409 952

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2020 წლის 10 სექტემბერს

დირექტორი

ემზარ დევაძე -----

10 სექტემბერი 2020 წელი

საქართველო, ბათუმი

1. შპს „მირაკლ“ და მისი საქმიანობა

შპს „მირაკლ“ ფუნქციონირებს 2017 წლის 8 მაისიდან.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელია

ემზარ დევამე, რუსეთი, საქართველო-50%

ვასილ დერიუგა, რუსეთი, საქართველო - 50 %

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ბინების მშენებლობა.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ბათუმი, შ.ხიმშიაშვილის ქ. N1 ბლოკი ა,ბ 14

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა. კომპანიის ფაქტიური მისამართია: საქართველო, ბათუმი, მეზღვაურთა ქუჩა 25

ანგარიშგების ვალუტა. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის. მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საწარმომ წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით გამოწვეული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება უნდა ასახოს ამ ცვლილების გარდამავალი დებულებების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხოლო სხვა მიზეზით გამოწვეული ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში უნდა აისახოს რეტროსპექტულად. გამარტივების მიზნით, მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის სააღრიცხვო პოლიტიკის რეტროსპექტულად გამოყენება ნიშნავს მხოლოდ მიმდინარე პერიოდის

აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის საწყისი საბალანსო ღირებულებების გადაანგარიშებას. შესაბამისად, საწარმოს არ მოეთხოვება შესაძარისი ინფორმაციის გადაანგარიშება. გასული პერიოდის მონაცემების ამგვარი კორექტირება ჯამურად უნდა აისახოს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგების შესაბამის მუხლში.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის ძირითადი პირობები.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ინსტრუმენტი წარმოიშობა სახელშეკრულებო უფლებებისა და მოვალეობებისაგან. ხელშეკრულება არის **ნებისმიერი შეთანხმება** ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელსაც:

- ეკონომიკური შინაარსი აქვს, და
- მხარეებს თავიდან აცილების შესაძლებლობა არ გაჩნიათ, ან ამის მცირე შანსი აქვთ (რადგან სახელშეკრულებო უფლებები და მოვალეობები კანონმდებლობით აღსრულებულია).

ხელშეკრულებებს (და მასასადამე, ფინანსურ ინსტრუმენტებს) მრავალნაირი ფორმა აქვთ, რომელიც შეიძლება იყოს წერილობითი, ზეპირი, ან ნაგულისხმევი საწარმოს ტრადიციული ბიზნეს პრაქტიკით.

თუმცა, ყველა ხელშეკრულება არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს. ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების ფარგლებში უფლებებმა და მოვალეობებმა უნდა წარმოშვან:

- ფინანსური აქტივის წარმოშობა ერთი მხარისთვის, და
- ფინანსური ვალდებულების ან წილობრივი ინსტრუმენტის წარმოშობა მეორე მხარისთვის

ხელშეკრულება, რომლის ფარგლებში საწარმო საქონლის მომწოდებელს ავანსს უხდის, არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს, რადგან საწარმოს უფლება აქვს მიიღოს არაფინანსური აქტივი, მაგალითად მარაგი.

საწარმოს საგადასახადო ვალდებულებები არ წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტებს. მსგავსი ვალდებულებები არ წარმოიქმნება საწარმოსა და საგადასახადო ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულების შედეგად, ისინი კანონმდებლობის შედეგად წარმოიქმნება. ანალოგიურად, არც საგადასახადო ჯარიმა და საურავი არ არის ფინანსური ინსტრუმენტი.

ფინანსური აქტივი არის ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწარმოს ფინანსურ ინსტრუმენტებს ან სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებო უფლებას.

ფულადი სახსრები ერთმნიშვნელოვნად შედის ფინანსური აქტივის განმარტებაში.

სხვა საწარმოს წილობრივი ინსტრუმენტები არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს აქტივებში ნარჩენი წილის მტკიცებულებას, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ (ანუ წილი წმინდა აქტივებში,

საკუთრების წილი). საწარმოე მიერ სხვა საწარმოს მესაკუთრეობა ფინანსურ აქტივს წარმოადგენს.

ფინანსური ვალდებულება არის ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც წარმოადგენს სხვა მხარისათვის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებას.

ფინანსური აქტივის მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულების ტიპიური ნაგალითებია:

- სავაჭრო კრედიტორული დავალიანება;
- სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან;
- სესხები სხვა საწარმოებისგან ან ფიზიკური პირებიდან.

ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა ფულადი სახსრების გადახდის სახელშეკრულებო მოვალეობებია. თუმცა, ფინანსური ვალდებულებების განმარტება მოიცავს ასევე ხელშეკრულებებს, რომელთა ფარგლებში ანგარიშსწორება ფინანსური აქტივებით ან ფულადი სახსრებისაგან განსხვავებული სხვა აქტივებით ხორციელდება. საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ იგი ხდება მოცემული ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით, ხოლო თვითღირებულება ფასდება გარიგების ფასით, რომელსაც აკლდება გარიგების დანახარჯები.

გარიგების დანახარჯები ხარჯის სახით აღიარდება გაწევისთანავე შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების შეფასება თავდაპირველი აღიარების შემდეგ

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ ფინანსური აქტივები უნდა შეაფასოს შემდეგნაირად:

ინვესტიციები სხვა საწარმოების წილობრივ ინსტრუმენტებში - თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი;

ყველა დანარჩენი ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული თვითღირებულებით, რომელსაც:

- ემატება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე აღიარებული საპროცენტო შემოსავალი;~
- აქტივის თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და;
- აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხა.

საწარმომ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, არსებობს თუ არა რომელიმე ფინანსური აქტივის გაუფასურების მტკიცებულება. თუ გაუფასურების ნიშნები არსებობს, საწარმომ უნდა შეაფასოს ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის მოცულობა საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით და მაშინვე აღიაროს გაუფასურების ხარჯის სახით შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

მიიჩნევა, რომ ფინანსური აქტივები გაუფასურებულია, როდესაც ფულადი ნაკადები, რომლის მიღებასაც მოელის საწარმო ამ აქტივიდან, ნაკლებია იმ მთლიან სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე, რომლისმიღების უფლებაც აქვს საწარმოს. იმ პირობების მაგალითები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ფინანსური აქტივი შეიძლება გაუფასურებულია, შემდეგია:

- მევალის ან მსესხებლის ფინანსური სირთულეები;
- ხელშეკრულების დარღვევა, მაგალითად დეფოლტი ან ვადაგადაცილება;
- მოსალოდნელი ხდება, რომ მოვალე ან მსესხებელი გაკოტრების პროცესში გადავლენ ან სხვა სახის ფინანსურ რეორგანიზაციას განიცდიან.

საანგარიშგებო თარიღით აღნიშნულის გამოვლენის შემთხვევაში საწარმომ უნდა შეაფასოს გაუფასურების ზარალი, თუ ასეთი არსებობს.

საწარმომ უნდა განახორციელოს ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის შემცირება იმ შემთხვევაში, თუ ადრე გაუფასურებული ფინანსური აქტივის საიმედოდ შეფასებული ღირებულება გაიზრდება ისეთი მოვლენების შედეგად, რომელიც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარების შემდეგ. აღდგენილი თანხა მაშინვე უნდა აღიარდეს შემოსავლის სახით შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებების შეფასება თავდაპირველი აღიარების შემდეგ

საწარმომ თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფინანსური ვალდებულებები უნდა შეაფასოს თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული თვითღირებულებით, რომელსაც:

- ემატება ვალდებულების თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე აღიარებული საპროცენტო ხარჯი;
- აკლდება ვალდებულების თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე გადახდილი ძირისა და პროცენტის თანხები.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

საწარმომ ფინანსური აქტივის აღიარება უნდა შეწყვიტოს მაშინ, როდესაც:

- ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გაუვა, ან ფულადი სახსრები უკვე მთლიანად მიღებული აქვს, ან
- დააკმაყოფილებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ, ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი მაშინვე უნდა აღიარდეს, შემოსავლის ან ხარჯის, სახით შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“).

იჯარა არის მხარეთა ურთიერთშეთანხმება, რომლის თანახმად მეიჯარე, საიჯარო გადახდის ან გადახდების მიღების მიზნით, მოიჯარეს გადასცემს აქტივის გამოყენების უფლებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში.

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც **იჯარა საკუთრების გადაცემის პირობით**, თუ საიჯარო შეთანხმებაში მითითებულია, რომ საიჯარო ურთიერთობის საგნის საკუთრების უფლება მეიჯარისგან მოიჯარეს გადაეცემა იჯარის ვადის გასვლისას.

მარტივი იჯარა არის იჯარა, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც იჯარა საკუთრების გადაცემის პირობით.

მეიჯარე – მარტივი იჯარის აღრიცხვა. მეიჯარემ შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში, იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით უნდა აღიაროს მარტივი იჯარიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და

გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექნომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

საწარმომ ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას საწარმომ გრძელვადიანი აქტივი თავდაპირველად აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით.

გრძელვადიანი აქტივების თვითღირებულება მოიცავს შეძენის დანახარჯებს და ყველა ისეთ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის იმ ადგილზე და ისეთ მდგომარეობაში მოყვანასთან, რომ შესაძლებელი იყოს მისი გამოყენება ხელმძღვანელობის მიერ დასახული მზინების შესაბამისად, გარდა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებისა.

საწარმომარაფულადი აქტივების, ან ფულადი და არაფულადი აქტივების ერთობლივად გაცვლის შედეგად შეძენილი გრძელვადიანი აქტივის თვითღირებულება უნდა შეაფასოს აღიარების თარიღის მდგომარეობით, საბაზრო ღირებულების ოდენობის საიმედოდ შეფასებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გაცვლის ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი, ან არც მიღებული და არც

გადაცემული აქტივის საბაზრო ღირებულება არ არის საიმედოდ შეფასებადი, ასეთ შემთხვევაში, აქტივის თვითღირებულება განისაზღვრება გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ყველა ძირითადი საშუალება უნდა აღრიცხოს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საწარმომ აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა გაანაწილოს სისტემატურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთა. მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში:
შენობა-ნაგებობა	20-50
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი და სხვა მოწყობილობა	5-10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის წმინდა ღირებულება, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს. პრაქტიკაში აქტივის ნარჩენი ღირებულის განსაზღვრა უფრო ადვილია იმ ფასის შეფასებით, რა ფასადაც შესაძლებელი იქნებოდა აქტივის დღეს გაყიდვა, მას უკვე ის ასაკი და მდგომარეობა რომ ჰქონოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს.

აღიარების შეწყვეტა

საწარმოს გრძელვადიანი აქტივის აღიარება უნდა შეწყვეტოს მისი გასვლისას, ან როდესაც მოსალოდნელი აღარ არის მისი გამოყენებიდან ან გასვლიდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

მოგების გადასახადები. საანგარიშგებო პერიოდის მოგების გადასახადი განისაზღვრება საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად და, საჭიროების შემთხვევაში, სხვა იურისდიქციის საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

საწარმომ იმ შემთხვევაში უნდა აღიაროს საგადასახადო ვალდებულება, თუ საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით იგი ვალდებულია, გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად სხვა იურისდიქციის საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების

დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას.

მარაგები. საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

საწარმომ არაფულადი აქტივის ან აქტივების ან ფულადი და არაფულადი აქტივის ერთობლივად გაცვლის შედეგად შემენილი მარაგის თვითღირებულება უნდა შეაფასოს აღიარების თარიღის მდგომარეობით განსაზღვრული, მათი საბაზრო ღირებულების საიმედოდ შეფასებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გაცვლის ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი, ან არც მიღებული და არც გადაცემული აქტივის საბაზრო ღირებულება არ არის საიმედოდ შეფასებადი. ასეთ შემთხვევაში აქტივის თვითღირებულება განისაზღვრება გადაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.

გაუფასურება

საწარმომ თითოეული სანაგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მარაგები, ანუ მათი საბალანსო ღირებულება არის თუ არა სრულად ანაზღაურებადი. როდესაც მარაგი გაუფასურებულია, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს გასაყიდი ფასით, რომელიც უნდა შემცირდეს მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით, ხოლო გაუფასურების ზარალი, ხარჯის სახით, მაშინვე აღიაროს შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

საწარმოს ეკრძალება ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

საკუთარი კაპიტალი – საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული, როგორც გადახდილი კაპიტალი.

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით.

2019 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარი/1 აშშ დოლარი	2.8677	2.6766
ლარი/1 ევრო	3.2095	3.0701
ლარი/1 თურქული ლირა	0.4821	0.5076

შემოსავლის აღიარება. ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან უნდა აღიარდეს:

საქონლის გაყიდვისას, როდესაც: კონტროლი საქონელზე, რომელიც მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საგანია, საწარმოდან გადადის მომხმარებელთან, შესაძლებელია გარიგების ფასის შეფასება გონივრული რწმუნებით და გარიგების ფასის მიღების გონივრული რწმუნება არსებობს.

მომსახურების გაწევისას, როდესაც:

საწარმომ გასწია მომსახურება სრულად ან ნაწილობრივ, რაც დასტურდება მხარეთა ფორმალური შეთანხმებით შესაძლებელია გარიგების ფასის შეფასება გონივრული რწმუნებით და გარიგების ფასის მიღების გონივრული რწმუნება არსებობს.

მომსახურების გაწევისას, როდესაც:

ხარჯები

გარიგების დანახარჯები ხარჯის სახით აღიარდება გაწევისთანავე შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

შპს „მირაკლ“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედი საწარმო, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა.

4. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	მიწის ნაკვეთი	მანქანა- დანადგარები	ავეჯი,ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	ავეჯი,ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	2164935	9898.00	1104	1302		2177239
რეალიზაცია						
შესყიდვა		50 637	3250	16631	364542	435 060
ღირებულება 31 დეკემბერი 2019						
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018		937	33	64		1034
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2019		8780.00	2591	1035	31644	44050
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2018	2164935	8961	1071	1238	0	2 176 205

შპს „მირაკლ“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

31 დეკემბერი 2019	2164935	50 818	1 730	16 834	332 898	2 567 215
----------------------	---------	--------	-------	--------	---------	-----------

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები იპოთეკით არ არის დატვირთული.

5. მარაგები

კომპანიას სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების სახით გააჩნია

მარაგები	2019	2018
ნედლეული და მასალა	379 060	210,204
დაუმთავრებელი წარმოება	6 710 874	1,138,558
სხვა მარაგები	20 408	8,297
ჯამი	7 110 342	1,357,059

კომპანიას ტერიტორიულად ბათუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, მწვანე კონცხზე დაუმთავრებელი წარმოების სახით გააჩნია, მშენებლობის პროცესში მყოფი გასაყიდად გამიზნული საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც პროექტის მიხედვით იქნება 14 და 21 სართული.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

დებიტორული დავალიანება და ავანსები	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები	7500	28,029
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	(608)	
გადახდილი ავანსები	19 632	425,564
ჯამი	26 524	453,593

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ეკვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2019	2018
ნაღდი ფულ სალაროში	939	971
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	103 050	14,684

შპს „მირაკლ“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2 535 298	394,297
სულ	2 639 287	409,952

ფულადი ნაშთები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეესაბამება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ ნაშთებს.

8. საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მფლობელია

ემზარ დევამე, რუსეთი, საქართველო - 50%;

ვასილ დერიუგა, რუსეთი, საქართველო - 50 %

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

ხარჯების დაფინანსების მიზნით, ხოლო დანარჩენ მოგებას ანაწილებს პარტნიორებზე.

2018 და 2019 წლების შედეგით არ გამოცხადებულა პარტნიორებზე გასაცემი დივიდენდები.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

კრედიტორული დავალიანება	2019	2018
სავაჭრო ვალდებულებები	(62 754)	1,672,751
მიღებული ავანსები	13 505 379	2,556,842
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(14 243)	1,200
ჯამი	13 541 725	4,230,793

10. შემოსავალი

კომპანიის შემოსავლის წყაროა სამშენებლო ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავალი, რომელიც კომპანიას მიღებული ავანსის სახით გააჩნია.

11. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

	2019	2018
საშუამავლო მომსახურება	520 716	86 433
საოფისე ინვენტარი	32	1 611
საოფისე ხარჯი	1 583	120
კომპიუტერის ხარჯები	190	69
თარგმნის ხარჯი	1 618	150
გიდის მომსახურება	1 557	7 303

შპს „მირაკლ“

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საჯარო რეესტრი	1 582	1 917
სხვადასხვა ხარჯები მედიკამენტები	395	475
ბანკის მომსახურების ხარჯი	3 236	1 143
არარეზიდენტის მომსახურების ხარჯი	15 778	31 232
სხვა ხარჯები	15 308	8 185
ჯამი	561 993	138 638

12. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

13. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრედიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჰქირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერთდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

14. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

15. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.